№ 38 თებერვალი 21, სამშაბათი — 1889 — თებერვალი 21, სამშაბათი № 38

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1889

ტფილისი, 20 თებერვალი

დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს სიონთან დააარსოს მუზეი შესანახად და დასაცველად ძველთა საეკკლესიო ნაშთთა, რაც-კი აღმოჩნდება საქართველოს საექზარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით სიონისავე ეზოში დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკკლესიო-საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია და გაზეთებშიაც გამოცხადებული.

ამ წესდებაში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ სასურველია ამ ძველთა ნაშთთა-საცავში მოგროვდეს როგორც გუჯრები, რაც-კი დღეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში და ეგზარხოსის ეპარხიაში მოიპოვება, აგრეთვე იგი გუჯრები, რაც კანტორას გადუცია სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის ტფილისსა, თუ ქუთაისში. გარდა ყოველ ამისა აქ მუზეიში უნდა შეიკრიბოს ყოველივე ძველი საეკკლესიო ნივთი, რაც-კი სადმე აღმოჩნდება და სადამდინაც-კი მუზეის გამგებელთ ხელი მიუწვდებათ.

აქ ჩვენ მთელს წესდებას არ მოვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ცალკე იბეჭდება. ჩვენ მხოლოდ იმისი თქმა გვინდა, რომ ამ მუზეის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს.

ვინ არ იცის რამოდენა ძველი ნაშთია გაფანტული აქა-იქ ეკკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში, რა დიდ-ძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და წერილები უადგილო ადგილას ჰყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუყენებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში რამდენი იკარგება, ჰფუჭდება და იღუპება. ეხლა-კი, რაკი მუზეი არის, ყოველი ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის და ვინ იცის ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავ-მოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა. იმას აღარ ვიტყვით, რომ დღეის იქით შიგ ჩვენს დედა-ქალაქში შეიკრიბება ეს ძველი ნაშთები, კაი ბინა ექმნება, ყოველი ნივთი, თუ ნაწერი წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველის მოწადინესათვის ადვილად ხელ-მისაწვდენი და სამეცნიეროდ, თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება.

თუ ამ მუზეის გამგებელთა საკმარისი გულ-მოდგინეობა გამოიჩინეს, არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვის ყურადღებაც მოიზიდოს როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა. ჩვენი ქვეყანა სავსეა ყოველ გვარის ძველის ნაშთითა და თუ დღეს ამას არა ვხედავთ, იმისი ბრალია, რომ არ ვიცით სად რა არის და ვის რა აქვს. ყოველი ეს რომ შეძლებისამებრ ერთს ალაგს ტფილისში მოგვიგროვდეს, როგორც აზრადა აქვს მუზეისა, მაშინ, იმედია, დავინახავთ რა განძი დებულა ჩვენს ქვეყანაში უქმად და გამოუყენებლად.

„ყოვლად წმინდის ღვთის-მშობლის ძმათა“ საბჭოს საეკკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეისა ჩაუბარებია იმისთანა კაცთათვის, რომელთ შორის უფროს-ერთნი ცნობილი არიან, ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა. ამისთანა კაცნი საკმაოდ თავ-მდებნი არიან, რომ ამ ახლად დაწყებულ საქმეს სათავეში კარგნი გამგებელნი ეყოლება და, მაშასადამე, იმედია თვით საქმის კეთილად დაწყებისა და განგრძობისა.

## ახალი ამბავი

*** ამ საყველიეროდ ტფილისის სასწავლებლებში თითქმის ყველგან გამართეს სალიტერატურო და სამუსიკო საღამოები, რომლებითაც მიიზიდეს მრავალი მაყურებელი. პროგრამმა ამ საღამოებისა ძრიელ კარგად იყო შედგენილი, როგორც კლასიკურ გიმნაზიებში, აგრეთვე სათავად-აზნაურო სკოლაში, სამოსწავლო ინსტიტუტში და სხვაგან. შეგირდები ამბობდნენ ლექსებს, თამაშობდნენ სცენებს სხვა-და-სხვა პიესებიდამ, მაგალითად, სამოსწავლო ინსტიტუტში წარმოადგინეს ქართულად რამდენიმე სცენა პიესიდამ „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და კარგადაც წარმოადგინეს. შეგირდებისავე ხორო გალობდა სიმღერებს და უკრავდა სხვა-და-სხვა სამუსიკო იარაღზე. ზოგმა შეგირდმა ისეთი სასცენო ნიჭი გამოიჩინა, რომ მოაწონა თავი არა მარტო თავისს ამხანაგებს, არამედ გარეშე პირთაც, რომლებსაც უდევნებიათ თვალ-ყური რუსულისა და ქართულ თეატრებისთვის. კარგი იქნება, რომ ტფილისის სასწავლებლებს დასჩემდეთ ასეთი ჩინებული გასართობები და ხშირად ავარჯიშონ ნიჭი მოზარდის თაობისა. ამაზედ უკეთესად შეგირდი ძნელად გაატარებს სადმე დროს და ასე გონივრულადაც ბევრგან ვერ ისიამოვნებს.

*** თუმცა ამინდმა უმტყუნათ ტფილისის კინტოებს, მაგრამ ყეინობა მაინც გამართეს და კარი-კარს დაიარებოდნენ ფულის მოსაგროვებლად. წრევანდელ ყეინობაში კიდევ ახალი რაღაცეები შემოუღიათ, მაგრამ თავი ვერ იჩინეს ისე, როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ორშაბათის ყეინებად მორთულები ჩამსხდარიყვნენ ფაიტონში და „კოზლაზე“ დაესვათ შვეიცარად ერთი ძმა ბიჭთაგანი, რომელიც თავიდამ ფეხამდე თეთრებში იყო ჩაცმული სასაცილო თეთრის ცილინდრით. სხვა კინტოებს ჩაეცვათ ძველებური წითელი ქართული კაბა-ქულაჯა და ისე მედიდურად დადიოდნენ, თითქო თავადები არიანო. „გამარჯობა“ რომ გეთქვათ ამ კინტოებისთვის, მაშინათვე ხანჯალზე იტაცებდნენ ხელს, ამოიღებდნენ და მოიქნევდნენ, თითქო მართლა ჩხუბის გადაკიდების მოყვარენი არიანო.

*** კვირას, 19 თებერვალს, უკანასკნელი წარმოდგენა იყო ოპერისა საზაფხულო თეატრში. ხუთის სხვა-და-სხვა ოპერის ნაჭრები იყო იმ ღამეს წარმოდგენილი და ეს ნაჭრები იმ განზრახვით აერჩიათ, რომ თითოეულში თითოეულს არტისტსა და არტისტ-ქალს გამოეჩინა თავი თავისს საუკეთესო როლში. წარმოადგინეს, სახელდობრ, მეორე მოქმედება „ფაუსტისა“, მეოთხე მოქმედება „жизнь за царя“-დამ ორ სურათად, მესამე მოქმედება „რიგოლეტოსი“, მეორე მოქმედება „ფენელასი“ და ერთი მოქმედება ოპერიდამ „კარმენ“. ფაუსტში იღებდნენ უმთავრესს მონაწილეობას: სუპრუნენკო, მოლჩანოვსკი, დეორეცი და ვერდანი; „жизнь за царя“-ში ლევიცკიმ იმღერა უმთავრესი როლი ივან სუსანინისა. ამ როლისათვის მეტად ბოხი დაბალი ხმაა საჭირო — ბასო პროფუნდო და ლევიცკიმაც არ დაჰზოგა თავი. რიგოლეტოში თავი მოაწონეს საზოგადოებას ტარტაკოვმა და ლუბკოვსკის ქალმა, ფენელაში — პრიმა-ტენორმა მედვედევმა. კარმენში, სადაც უმთავრესს როლს ასრულებდა ხოლმე პრიმადონნა იოზეფოვიჩი, ვერდანის ქალი გამოვიდა. ამ სახით იმ საღამოს თითქმის ყველა მომღერალი წარსდგა საზოგადოების წინაშე თავის უკეთესს როლში და გამოეთხოვა ტფილელ მუსიკისა და სიმღერის მოყვარეთა და ყველანიც დაჯილდოვებულ იქმნენ გვირგვინებითა და საჩუქრებით. დაასაჩუქრეს აგრეთვე ორთავე დირიჟორები ორკესტრისა: პრიბიკი და იპოლიტოვ-ივანოვი, რეჟისორი პრიანიშნიკოვი და, ასე გასინჯეთ, დეკორატორი რეჯიოლი-კი. იმ საღამოს მონაწილენი არ იყვნენ მხოლოდ და მაშასადამე არც საჩუქარი მიუღიათ: იოზეფოვიჩის ქალს და მეორე ბასს პუზანოვს, რომელსაც საკმაოდ დიდი რეპერტუარი აქვს და განსაკუთრებით უფრო კარგად ასრულებს თავად სინოდალის ერთგულის

# ფელეტონი

ისტორიული მიმოხილვა*)

V

ჩვენი ხუროთ-მოძღვრული ნაშთები გვხვდება ადრიდგანვე; ამასთანავე ქართველთათვის უცხო საქმე არ იყო ხატვაცა და ჩუქურთმა-ქანდაკებაც.

ბ-ნი ბერჟე თავისს ერთ საყურადღებო წერილში [1]) ამბობს, რომ მტერთან ბრძოლამ საქართველოს ერს შეასწავლა შენობათა აგების ყაიდაცაო. გარდა მრავალ გვარ გამოქანდაკებულ და ტროგლოდიტურ შენობათა (უფლის-ციხე, გარეჯისა და ივრის ქვაბნი და სხ.) მთელს საქართველოში, მეტადრე ამერეთს, მრავალია ძველთა-ძველი კოშკი, ციხე, რომელნიც საოცრად ჰგვანან სარდინიის ნურხაგებსა. ეს ნურხაგები შიშიანობის დროს საიდუმლო თავ-საფარი იყო მთელის ოჯახისათვისაო. თვით ეკკლესიანიც საქართველოში თავსაფარად მოწყობილნი იყვნენ. ძველ დროს საფლავებსაც ისე ოსტატურად აგებდნენ, რომ მტერი ვერ შეამჩნევდაო. ამ გვარია, მაგ., მცხეთის აკლდამები და სხ. იმ ძველ დროს, როგორადაც ეხლა, იმერნი ხის სახლებში სცხოვრებდნენო, ამერნი-კი მიწურებში, რომელსაც მცხეთაში კრამიტით ჰხურავდნენო.

ბ-ნი ბაქრაძე ამბობს [2]), რომ საქრისტიანო ნაშთები საქართველოში არსებობს მე-IV საუკუნიდგანაო. ამ ნაშთთა უძველეს წარმომადგენლებმა თავისი განსაკუთრებული სახე მიიღეს კერპების დროინდელ ტაძრებისაგანაო, იმ ნაშთების ყაიდა უფრო მარტივია, რომლებიც უფრო ძველს დროს ეკუთვნისო. მათ ჯერ გუმბათი არა აქვთ როგორღაც აწოწოლავებულნი არიანო. არც კედლები აქვთ დახატული. მე-IX—XIII ს—ნის ნაშთებს-კი განსაკუთრებული სახე და იერი მიეცათ. ეს სახე, ანუ ქართული სახუროთ-მოძღვრო ყაიდა წარმოსდგა ბიზანტიურ, არაბულ და ახალ-გოტიურ ყაიდების შერევნისაგანაო. ყოველის ნაწილის მოყვანილობა და მოხაზულობა მოგრძო ოთხ-კუთხე სახისა გახდა, შაქრის თავის მსგავსი გუმბათი ტაძრებს ზედ შუაზედ დაედგა, კედლები და სვეტები მოირთო მრავალ-გვარ და შესანიშნავ ჩუქურთმა-ქანდაკებითა და სახეებით. ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართველნი, დიდიდამ წვრილამდე, ეკკლესიებისათვის, მათ შესამკობლად, გასამშვენიერებლად დაგასაძლიერებლად არ იშურებდნენ თავისს ქონებას, სწირავდენ ძვირფასს ჭურჭელს, თვალ-მარგალიტს, მამულებს, სამოსელს, გარს ავლებდნენ მკვიდრს გალავნებს, მათს ეზო-დარბაზებში გამოჰყავდათ წყაროები, რუები და სხ. და სხ.

ბაქრაძის ნათქვამს ემოწმებიან თვით ბერძენ-რომაელთა მწერალნიც. მაგ., სტრაბონი ამბობს, რომ ივერიის დიდ მანძილზე გაშენებულია ქალაქები და სოფლები, სადაც მოიპოვება კრამიტით დახურული სახლებიო. ეს სახლები აგებულია ხუროთ-მოძღვრულ ნამდვილს გემოვნებაზე, აქვს მეიდნები და საერო სახლებიო.

გრ. უვაროვი და სხ. წარჩინებულნი მეცნიერნი ქებით იხსენიებენ ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შენობა-მოყვანილებას, მის ხელოვნების ლაზათსა; ამ გვარისავე შეხედულობისანი არიან საზოგადოდ საქართველოს ხუროთ-მოძღვრების შესახებ მრავალნი სხვანი წარჩინებულნი მეცნიერნიც.

ქართული მხატვრობაც თუმცა წარმოიშაძა ბიზანტიის მხატვრობის მიხედვით, მაგრამ დროთა განმავლობაში განსაკუთრებული თვისება მიიღო.

დიდებული გეოგრაფი რიტტერი ამბობს: აპოლონ როდოსელის მოთხრობიდამ სჩანსო, რომ რუკათა შედგენის ხელოვნება კოლხიდელთ უფრო ადრე იცოდნენ, მანამ ბერძენთაო. კოლხიდელებმა თვით წინაპართაგან ფრიად ძველ დროს ისწავლეს ქვის დაფებზედ რუკების ხაზვაო; შემდეგში ქვის დაფების მაგიერ ესენი ჰხმარობდნენ ხის დაფებს; ამ დაფებს მათს ენაზედ ერქვა კირბის, სწორედ ის სახელი, რომლითაც იწოდებოდნენ 700 წ. ქრისტ. უწინარეს დროების ათინელთა კანონებიო. ეს დაფები შეიქმნენ დასაწყისად ლანდქარტთაო (Истор. Землевѣд.)

ჩუქურთმა-ქანდაკება და საზოგადოდ ხატვა ქართველებმა იცოდნენ ფულებზე, ტაძრების კედლებზე, ქვებზე და ტყავსა და ეტრატისაგან შეკრულ წიგნებზე.

ფულებისა და ზოგიერთ ქანდაკებათა შემწეობითო, ამბობს ბარტოლომეი, ვტყობულობთ იმასაცაო, თუ რა ეცვათ ქართველებს. ამ ფულებსა და ნაშთებზე გამოხატულია მეფის გვირგვინი. ქართველები წვერ-ულვაშით ჰსახიანო, აცვიათ ჯუბა ქამარ-შემორტყმული. ამას ზემოდგან ყოშიანი კაბა, ფეხზედ მაღალ ყელიანი და მაღალ ქუსლებიანი წაღები, ზემოთ აწეულის ჰვინტებითა. ქალამანი ხომ ძველადგანვე იცოდნენ, რადგან იგი კუთვნილებაა უმეტეს ნაწილ უძველესის ერისაო.

ბ-ნი ცაგარელი ქართულს მხატვრობასა, წიგნების სამკაულსა და წერაზედ ამბობს: ქართველნი მხატვარნი ჰხატავენ ადგილობრივ ბუნებასა და ჰბაძავენ ადგილობრივ მხატვრობასაო: მისირიულსა და არაბულს (სინას ნაშთნი), ბიზანტიურსა (ათონის ნაშთნი) და სპარსულს (ნაშთნი მე XVI—XVIII საუკუნისანი). გარდა ამისა თვით წერის ხელოვნებაც ფრიად

*) იხ. „ივერია“ № 36.

[1]) იხ. Кавказъ въ археолог. отношенiи.

[2]) Кавк. въ древ. памят. христiанства.

ყმის როლს „დემონში“. თეატრი გაჭედილი იყო იმ საღამოს ხალხით.

*** ჩვენში ყველიერმა უფრო იმითი იჩინა თავი, რომ ხალხი თეატრებსა და გასართობებს მიაწყდა. ამ ყველიერმა ანუგეშა ბ-ნი ფორკატიც-კი, რომელიც წარსულის სეზონის განმავლობაში საზოგადოებას დიოგენის ფარნით დაეძებდა და ვერ ეპოვნა. ამ ყველიერში ბანკის თეატრი სავსე იყო დილითა და საღამოთიც—დღეში ორს წარმოდგენასა ჰმართავდა ფორკატის რუსული დასი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თითონ ფორკატის ბენეფისი, პარასკევს, როცა ბილეთი არ იშოვებოდა და დიდ-ძალი ხალხი გაბრუნდა კიდეც უკან. მარტო ბილეთები თითქმის ასის თუმნისა გაიყიდა. მობენეფისეს შვიდი თუ რვა ვერცხლის ნივთი მიართვეს საჩუქრად და დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ სცენაზე გამოსულს. იქნება ამ თანაგრძნობას მიეწეროს ის ამბავი, რომ ფორკატის კვლავ განუზრახავს დარჩენა, ჰსურს სამერმისო-სეზონოდაც შეადგინოს რუსული დასი და წარმოდგენები ჰმართოს ტფილისში.

*** ჩვენ მივიღეთ გაზეთ „მეურნის“ დამატება ცალკე წიგნად დაბეჭდილი, სახელდობრ: „ვაზის ობი და მისი წამლობა“. ეს პატარა წიგნი მცირე სარგებლობას არ მოუტანს ვენახების პატრონებს ჩვენში, რადგან მოკლედ გა გარკვევით არის შიგ მოხსენებული, როგორც ვაზის ახალის სენის ვითარება, ისე მის წამლობის ამბავი. ეს დამატება ჩვენის გაზეთის ქალაქ გარეშე მკითხველებსაც ეგზავნებათ დღევანდელს ნომერთან ერთად.

*** საქართველოს ეგზარხოსს პალადის საეკკლესიო და საარხეოლოგიო განყოფილების საბჭოს თავმჯდომარედ დაუნიშნავს ბ-ნი დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძე, ხოლო წევრებად: დეკანოზი ნ. ა. კალისტოვი, რომელიც აასრულებს მდივნის თანამდებობასაც, კანდიდატი კიევის სასულიერო აკადემიისა მღვდელ-მონაზონი ლეონიდი (ოქროპირიძე), მასწავლებელი სასულიერო სემინარიის თ. დ. ჟორდანია, მასწავლებელი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა ე. ს. თაყაიშვილი და ნ. მთვარელიშვილი, მასწავლებელი თელავის სასულიერო სასწავლებლისა ვ. ზ. ბარნოვი და მღვდელი სოფელ გურჯაანისა მამა პოლიევკტ კარბელაშვილი.

*** ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას, როგორც ამბობენ აქაური გაზეთები, მალე ექნება ობისა და ნაცრის საწამლავად 49 პულვერიზატორი ვერმორელისა, თითო 18 მანათად, 263 ფუთი სპილენძის შაბიამანი, ფუთი 6 მანათად და 60 კაპ., და 540 ფუთი გოგირდი, ფუთი 2 მან. და 15 კაპ.

*** **ქ. ნუხა**: ყოველ მხრიდგან წრევანდელს ზამთარს უჩივიან. ნუხელი მოხუცებულნიც იძახიან, რომ ამისთანა სუსხიანს ზამთარს არ მოვსწრებივართო. მართლაცა-და მთელი ქრისტიშობისთვე ისე გავიდა, რომ დალოცვილი მზე არც-კი გვჩვენებია. ამ სიცივეში ნუხელები კიდევ როგორმე იოლას მივდიოდით, მაგრამ ბრალი სოფლელებისა: საცოდავებს შეშა სამყოფი არა ჰქონდათ და ტანსაცმელი. კარგი დარი რომ დასდგომოდათ, ჩამოიტანდნენ ნუხში გასასყიდს ბზეს, პურს, კვერცხს, ან სხვა სანოვაგესა და იყიდდნენ ტანსაცმელსა. მაგრამ გარედ გასვლის ილაჯი არ იყო. დიდს სიცივეებში 13 გლეხი ავიდა მთაზედ ნახშირის და საწვავად, მაგრამ თქვენს მტერს, რაც მათ დღე დაადგათ: 3 იქვე გაფიჩხებულიყო და დანარჩენი რის ვაი-ვაგლახით დამზრალნი დაბრუნებულიყვნენ. ცხვარსა და საქონელს ხომ მუსრი გაავლო სიცივემ. ამბობენ, შირაქში ზოგან მინდორ-ველეები სამსე იყო დამძრალ-დაფიჩხებულის ცხვრებითაო. ამ ცხვრის პატრონნი თათრები და თუშები არიან. რუსები იტყვიან: „თუ უბედურება გეწვევა, კარი გაუღეო“. მეცხვარე თუშებსაც ასე მოუვიდათ: სიცივემ ხომ ცხვარი გაუწყვიტა, ახლა იმ საცოდავებს შექლებმა (ნუხის მაზრის მცხოვ.) 30-მდე ცხენი დაჰპარეს.

წარსულს გაზაფხულს ადიდებულმა წყალმა მთლად გაანადგურა ს. ქვემო-განუხი (აშაღა-გეინუხ). შეშინებულნი სოფლის მკვიდრნი აპირებდნენ გადასახლებას იმ ალაგიდგან, რადგან არ შეეძლოთ წყლის დაღონება, ხე-ტყის უქონლობის გამო. მაზრის უფროსის ბ-ნ სილიჩის მეცადინეობით ხალხს ნება მიეცა გამოეტანა სახელმწიფო ტყიდგან 1100 ტივის ხე, რომ ხალხს ამ მასალით წყლის პირი სხვაგან მიებრუნებინა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „ადამიანს იმდენს ვერვინ ავნებს, რამდენსაც თვით ივნებსო“. 1100 ხიდამ 600 მოუპარავთ თვით ქვემო-განუხელებსვე...

მაზრის უფროსის სურვილისამებრ ამ ქურდობის აღმოსაჩენად წარსულ კვირას გაემგზავრა ქვემო-განუხში ქურდობისა და ავაზაკთა დაულალავი მტერი და თავ-ზარ დამცემი თავ ანდრონიკაშვილი. ამან არამც თუ ამ ხეების ქურდები იპოვნა, იმ სოფელშივე აღმოაჩინა რვა ცხენიც, რომელიც თუშებისათვის მოეპარათ ეხლა იმედია დანარჩენ 22 ცხენსაც მალე იპოვნიან.

იანვრის ნახევრიდგან გაზაფხულის დღეები დაიჭირა და ძლიერ ეშველათ სოფლელებს: ამ ორ-სამს კვირაში მთელი ნუხის ბაზარი სოფლელებით სავსე იყო. ეს ერთი კვირაა ხელ-მეორედ აცივდა.

*** **ქუთაისი**: 16-ს ამ თთვისას, საღამოს, წმინდა ნინოს ქალების სასწავლებლის სადგომში იყო გამართული კონცერტი და გალობდა მგალობელთა ხორო. როგორც ხორო მგალობელთა, ისე ორკესტრი იყო შედგენილი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მოწაფეთაგან. მშვენივრად ჩაიარა როგორც საორკესტრო პიესებმა, ისე გალობამ. მადლობის ღირსნი არიან ქუთაისის კლასიკურის გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი სტოიანოვი, რომლის თაოსნობით შესდგა ეს მოსწავლეთა ორკესტრი ხოროს თანდახმარებით. მაგრამ განსაკუთრებით დასაფასებელია შრომა ბ-ნ გროზდოვისა და ჭილაშვილისა, რომელთა მოღვაწეობით მშვენივრად განიწვრთნენ მემუსიკე მოწაფენი. კონცერტი გათავდა 10 საათ ნახევარზე; შემდეგ დაიწყო საყმაწვილო საღამო, სადაც დაესწრნენ მოწაფენი ქალებისა და ვაჟების გიმნაზიებისა. მხიარულება გაგრძელდა ღამის პირველ საათამდე. საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა თვისის თანადასწრებით. ხალხი იმდენი იყო, რომ წმ. ნინოს სასწავლებლის სადგომში თითქმის ტევა აღარ იყო. შემოსავალი იყო დანიშნული კლასიკურის გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. შემოვიდა ამ საღამოს გამართულ კონცერტისაგან 450 მანეთი.

*** სოფელ **ყვარელში** ერთი უბედურება მოხდა: იქ მცხოვრებ თავადიშვილს გიორგი მიხეილის ძეს ჭავჭავაძეს და მორთულაძეს ლაპარაკი მოსვლიათ და ეს ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა. თ. ჭავჭავაძეს ხანჯალი დაუცია და მორთულაძე იქვე მოუკლავს.

## შავის ქვის წარმოება.

ყველაზე უფრო საშიში მოკამათე შავის ქვის წარმოებაში არის, როგორც მრავალჯერ მოგვიხსენებია, ამერიკის ერთი სახელმწიფოთაგანი, სახელად ჩილე, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთის უკიდეს ნაპირად. საჭიროა ამ დაუძინებელის ჩვენის მტრის ვითარება შევისწავლოთ, ან თუ როგორ გამოჩნდა მოწინააღმდეგეთ ჩვენის შავის ქვის წარმოებაში, ან როდიდგან აილო თავი, ან რამდენი ხანია მას აქეთ, რაც შესამჩნევად გაგვიძნელა ამ სახელმწიფომ ჩვენის შავის ქვის გაყიდვა ევროპაში. ყოველსავე ამ ამბავს მოგვითხრობს «სავაჭრო არხივი» გერმანიისა, რომელმაც წარსულს წელს ამ საგანზე გამოსცა საკმაოდ ვრცელი ცნობა.

ჩილეს სახელმწიფოს ისეთივე მიწის გულისა და ნიადაგის შენობა აქვს, როგორც საქართველოს, მხოლოდ შავის ქვის მადანი უფრო ახლოა მიჯნით მიწყობილი ზღვასთან, ვიდრე ჩვენში. იქაურმა ვაჭრებმა თითქმის იმავე დროს დაიწყეს შავის ქვის გამოტანა ევროპაში, რა დროსაც ჭიათურაში ატყდა მუშაობა. მხოლოდ ჭიათურის შავის ქვის მუშაობამ გამოაფხიზლა ისინი. როცა იმათმა კომისიონერებმა ინგლისში გაიცნეს კავკასიიდგან შეტანილი შავი ქვა, გაიცნეს იმისი ქიმიური შედგენილობა, შეიტყეს იმისი ხმარება მეტალის წარმოებაში, იმისგან ფულადის კეთება, მაშინ აცნობეს დაწვრილებით ჩილეში, რადგან იცოდნენ, რომ მარგანეცისა იქაც კარგი და საკმაოდ მდიდარი მადანი მოიპოვებოდა. მაგრამ ჩილის მწარმოებლები 1880 წლიდგან დაწყებული 1885 წლამდე ვერ გაეჩივნენ ამ მადნის წარმოებას, ბლომად ვერ გამოიტანეს ევროპაში. ისინი ჰგზავნიდნენ ყოველ წელს ცოტ-ცოტად და თანდათანაც უმატებდნენ, ჰქონდათ ცოტაოდენი წარმატება ყოველს წელს, მაგრამ იმათს წარმოებას შესამჩნევი გავლენა არა ჰქონდა-რა კავკასიის, ანუ უკეთ ვთქვათ, ჭიათურის მარგანეცის სყიდვა-გასყიდვაზე. მხოლოდ 1886 წელს დაიძრა იქიდგან დიდი პარტია (ქარავანი) შავის ქვისა ევროპის სავაჭრო ასპარეზზედ.

ამ წელს გადმოიტანეს ჩილიდგან ინგლისს 17,000 ტონნი, რომელიც უდრის დაახლოვებით ერთ მილიონს ოცი ათასს ფუთსა.

1887 წელს გადმოიტანეს 44,000 ტონი, ანუ ორი მილიონი ორას სამოც და-ოთხი ათასი ფუთი მარგანეცი. აი, ამისთანა სიმრავლემ ამერიკის შავის ქვისამ ევროპის ნიადაგზე შეაჭირვა ჩვენი წარმოება, დასცა ფასები, რადგან იქ მოთხოვნილებას გადაემატა. ჩვენში აღძრული ჩალვასდრობა და დიდი მადნის მუშაობა ჭიათურაში სრულებით უსაქმოდ უნდა დარჩენილიყო, თუ რომ ფასს არ დაუკლებდნენ და ნამეტანის სიიაფით არ გააბედვინებდნენ ევროპის კამისრებს თავისს ხარჯზე ნაწარმოებ მარგანეცის სყიდვას. აი, ამ დროს ბევრს ჩვენებურს, თვით იმერლებს, ჰქონდა გაწყობილი ჩალვადრობა, მაგრამ რაკი მუშაობა შეჩერდა, იმავ წუთში დაჰყიდეს ცხენები, ჯორები, სახედრები და მათი მოწყობილობა.

განვითარებულია ძველს ნაწერებში (ბაქრაძე, ცაგარელი და სხ.). ყოველს ძველს სავანეს, მონასტრებს, საცა გაძლიერებული იყო მწიგნობრობა, წერის საკუთარი „ხელიც“ ჰქონდა, ასე რომ ვისაც შეუსწავლნია ეს „ხელი“, ადვილად გაარჩევს, თუ რომელი ძველი ნაშთი რომელს სავანეს ეკუთვნის. თუმცა საქართველოს მხატერობა გარეშე ზედ-გავლენას ვერ ასცდა, მაინც, მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში თვისი განსაკუთრებული ხასიათი და იერი მიიღო. დღეს უკვე აღიარებულია, რომ ქართული სამხატვრო კილო არის «ტოტებისა, ყვავილებისა და ფოთლებისაგან გადახლართულ-გადაწნული სამკაული».

ხლართული მოხაზულობა-ხელოვნება საქართველოში უაღრესად განვითარდაო, ამბობს კანდაკოვი[3]), მინამ სადმე სხვაგან: ბიზანტიაში, იტალია-ვენეციას, სერბია-რუსეთსაო, გარ და ირლანდიისაო. იქაური მოხაზულობა-ქანდაკება ისე წააგავს საქართველოსას, რომ გამოჩენილი ფერგისონი ჰფიქრობსო, რომ ეს ხელოვნება ირლანდიაში გადმოტანილ იქმნა აღმოსავლეთიდამ მე-VI საუკუნეშიო. მაგრამ ქართულს ხლართულს მოხაზულობას ირლანდიის ამ გვარსავე ხელოვნებასთანაც უპირატესობა აქვსო. აქ მოხაზულობის თვისება უფრო ჭეშმარიტია, სახე მარტივია და დანიშნულება და აზრი უაღრესად უდრის მიზანს და არა საკუთარის ფანტაზიის თვით-ნებობასაო. აგრეთვე საქართველოს ძველს ხელოვნებაში შესანიშნავია თვით ქანდაკება-ჩუქურთმაცაო.

როგორც სჩანს კანდაკოვის წიგნიდამ, მეცნიერთა შორის გავრცელებული იყო აზრი შესახებ იმისა, რომ სომხეთსა და საქართველოში ხუროთ-მოძღვრება დამოუკიდებლად ბიზანტიისა აღორძინდაო და ფრიად ძველ დროსაო. მაგრამ კანდაკოვი ამ აზრს არღვევს და ჰპოებს მონათესაობას საქართველოს ხუროთ-მოძღვრებისა ბიზანტიისასთან, აგრეთვე იტალიისა და ზოგიერთ სხვა ქვეყნისასთან. ხუროთ-მოძღვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გარედან კედლების შემკობასა მრგვალისა და წვრილის სვეტებითა, რომელნიც ერთი სართულიდგან მეორე სართულზე გადაბმულნიაო... ამ გვარი სამკაული შენობათა კედლებისა ევროპაში გავრცელდა მე-XII საუკუნეშიო (მაგ. იტალიაში პავის ეკკლესია), ხოლო საქართველოში-კი გვხვდება ქუთაისის ბაგრატის ტაძარზე, რომლის აგებაც დასრულდა ბაგრატ IV მეფობაშიაო (1027—1072 წ.). თუ მართლაც ხსენებული ტაძარი აღიგო ხსენებულ დროს, განა არ უნდა ვაღიაროთ ის გარემოებაც, რომ ამ გვარ სამკაულის მოგონების პირველი სამშობლო არის საქართველოვო?

არავისთვის დაფარული არ არის, რომ 1881 წ. ტფილისში შეკრებულნი არქეოლოგნი დიდად ასიამოვნა საქართველოში დაშთენილ ნიმუშებმა ძველის ხელოვნებისამ. მეცნიერთ დიდი ყურადღება მიაპყრეს, სხვათა შორის გელათის სახარების მინიატურულ მოხატულობასა. ამ სახარების ნახატნი ზედ-მიწევნით აღწერა პროფესორმა პოკროვსკიმ (Записки отд. рус. и Слав. Арх. им. рус. арх. Общ., ტ. IV).

სახარება დაწერილია მე-XI—XII საუკუნეში. მასზე გამოხატულია 250 სურათი. ამას გარდა სახარება შემკულია აგრეთვე ხლართულ სახეებითა, სხვა-და-სხვა ფერითა, ბუნების სურათებითა.

ავტორი გრძლად და დაწვრილებით აღწერს თვისებას, ხასიათსა და მოყვანილობას სურათის ყოველის ნაწილისას ცალკედ და ერთად. ტექსტის აქეთ-იქიდამ დახატულია ორი სვეტი, რომელნიც ზემოდგან თაღივით არის გადაბმული. ეს სვეტები და საზოგადოდ მთელი სამკაული შესდგება გადაბ-გადმობმულ, გადახლარ გადმოხლართულ ყვავილებითა და თაიგულებით. აქა-იქ სამკაულში გამოხატულია ადამიანის თავები, სხვა-და-სხვა ნადირნი, შინაური პირუტყვნი, დედაკაცნი გრძლის სახურავებით, ყრმანი, ანგელოზნი... სამკუთხედნი, ჯვრები, თაიგულები, ვეშაპის თავები და მრავალ-გვარი ფიგურები ცისფრად, მწვანედ, წითლად და ლურჯად... ეს სურათები აღსრულებულია მუყაითად, საქმის ცოდნითა და დიდის სიყვარულით... ყველგან და ყოველსავე ეტყობა, რომ მხატვარი არსად არ გაუტაცნია ფანტაზიას. იგი საქმეს მოჰკიდებია დინჯად, წყნარად და ყველგან დაუცავს გასაოცარი სიჭეშმარიტე და სინამდვილე. ქართველ მხატვარს ღირსებად ჩაეთვლება ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ მხატვარსავით თავისს შრომისათვის ერთ-ფეროვანება სურათებისა, ერთ-სახეობა არ დაუჩნევია. ყველგან უხმარია სხვა-და-სხვა გვარი სახე და ფერი, ამ გვარად თვის მხატვრობისათვის დაუჭდევია განსაკუთრებული, ტიპიური თვისება.

შემდეგ პროფესორი განაგრძობს: გელათის სახარება დიდის მნიშვნელობისაა, როგორც ბიზანტიისა, ისე რუსეთის საეკკლესიო მხატრობის ისტორიისათვის: იგი შეძლებას გვაძლევს აღვადგინოთ რუსეთის ძველნი და დასურათიანებულნი სახარებანი... ბიზანტიისა და საქართველოს მხატვრობას დიდი მონათესობა აქვს. საქართველოს მხატვრობა საზოგადოდ და განსაკუთრებით-კი საეკკლესიო ამ ქვეყანაში გადმოინერგა საბერძნეთიდამ და თუმცა ჟამთა განმავლობაში საკუთარი სახე, თვით-მყოფლობა მიიღო, მაგრამ მაინც ეტყობა ნათესაობა ბიზანტიის მხატვრობასთანაო. ამიტომაცაო, ამბობს იგი პროფესორი, მეცნიერებამ უკვე საჭიროდ დაინახა სრულის სახის აღსადგენად ერთის ქვეყნის მხატვრობისა შეისწავლოს მეორე ქვეყნის მხატვრობაცაო.

ესომ

[3]) Древн. архит. Грузіи.

ბევრმა იზარალა და, რაც წინა წლებში მოიგეს, თითქმის ერთი ორად წააგეს, ვისაც-კი არ შეეძლო, რომ ამ გაჭირვებაში თავი გაეტანა.

მთელი ის ორი მილიონი 164 ათასი ფუთი შავი-ქვა ჩილიდგან გადმოიტანეს მხოლოდ ინგლისში. 1888 წელსაც თითქმის ამდენივე გადმოვიდა ევროპაში, სადაც მოთხოვნილება თანდათან ძლიერდება, რადგან, ინგლისს გარდა, საფრანგეთში და გერმანიაშიაც დაიკვეთეს შავი ქვა ჩილიდან. რამდენიმე მარგანეცი შეერთებულ შტატებშიაც გავიდა.

რადგან ჩილეს ფული პეზო ხან აიწევა, ხან დაიწევა, როგორც რუსის ფული, და ამასთანავე ზღვის ფრახტიც, ესე იგი გადატან-გადმოტანის ფასი გემებით ყოველ წელს ერთი და იგივე არ არის, ამისთვის ჩილეს მარგანეცსაც იგივე ხიფათი სჭირს, როგორც ჩვენს ჭიათურის შავს ქვას. შეიძლება იმათმა პეზომ, ანუ მანეთმა მოიმატოს ფასში, ან ზღვის ფრახტი გაძვირდეს და მაშინ ჩვენს ჭიათურის მარგანეცს უწინდელივე მოთხოვნილება ექნება ევროპაში და კიდევ მეტიც.

წარსულ ორის წლის განმავლობაში ჩვენის შავის ქვის წარმოების დაცემა ბრალდება თითქმის ერთს გლაზგოველს ვაჭარს, რომელსაც იმ 44,000 ტონნი მარგანეციდან მარტო მას ოც-და-შვიდი ათასი ტონნი, მილიონ ნახევარ ფუთზე მეტი, თითონ გადმოუტანია ინგლისში. იმას შეუკრავს პირობა ერთ ცეცხლის გემის კამპანიასთან, რომელსაც ხუთი-ექვსი საკუთარი ცეცხლის გემი ჰქონია და გადუწყვეტია ჩილიდგან გლაზგოვამდე თავისის ცეცხლის გემის ტარება 1886 და 1887 წლის განმავლობაში. ამ კამპანიას ჰქვიან გოლფლეინი და მარგანეცის გადმოტანისათვის ძალიან იაფად გაურიგდა იმ ნახსენებ გლაზგოველს ვაჭარს, ესე იგი იაფის ფრახტით შეეკრა, რადგან ეს გემები უმისოთაც უნდა წასულიყვნენ ხოლმე ჩილის სახელმწიფოში, ინგლისის საქონლით დატვირთულები, და უკან ცარიელ წამოსვლას მარგანეცი რომ ძალიან იაფადაც წამოეღოთ, ის ერჩიათ. ამასთანავე თითონ ჩილი'ს მანათს პეზოს არც მოუკლია, არც მოუმატნია ამ ორის წლის განმავლობაში.

მხოლოდ 1888 წლიდგან ჩილის მარგანეცის მადნების მუშები ძალიან გაძვირდნენ და ამისდა შესაფერად წარმოებაც გაძვირდა. უეჭველია, ამას კარგი გავლენა ექნება წელს ჭიათურის მარგანეცის წარმოებაზე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისეთმა მცირე რამემ, მაგალითად ერთის ვაჭრის სარგებლიანმა ხელ-შეკრულობამ, როგორც ეს მოხდა გლაზგოვში, როგორ უნდა ავნოს მთელის ქვეყნის წარმოებას?

ამ სამის წლის განმავლობაში ჩვენი ვაჭრობის ბალანსი კავკასიაში შავის ქვის წარმოების შეჩერების გამო ორ-ორის მილიონით ნაკლებია.

უეჭველად ამისთანა სამარცხვინო საქმე არ მოუვიდოდა კავკასიის ვაჭრობას, თუ რომ ჭიათურის რკინის გზა ყოფილიყო გაკეთებული.

გ. წერეთელი

## წესდება

საეკკლესიო ძველ ნაშთთა - საცავისა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ძმობასთან საქართველოს საეგზარხოში

(დამტკიცებული უწმინდესის სინოდისაგან 24 იანვარს 1889 წ.)

§ 1. საეკკლესიო ძველნაშთთა-საცავი ყოვლად-წმინდა ღვთის მშობლის ძმობასთან საქართველოს საეგზარხოსოში არსდება იმ აზრით, რომ დაცულ იქნას ძველი საეკკლესიო ნაშთები, რომელნიც საქართველოს საეგზარხოსოში მოიპოვებიან.

§ 2. ამ ნაშთებს შეადგენენ:

ა) ძველი ხელნაწერები, ძველად დაბეჭდილი წიგნები და გუჯრები ანუ აქტები მონასტრებისა, ძველის საეპისკოპოზო კათედრებისა და სამრევლო ეკკლესიებისა.

ბ) ძველი საეკკლესიო ავეჯეულობა,— ეკკლესიის სადარო, საეკკლესიო ჭურჭლეულობა და სხ.,— რომელნიც ან აღარ იხმარებიან ღვთის მსახურებაში, ან აღნიშნულნი არიან გამოსარიცხავად, და

გ) ყველა ძველი საეკკლესიო ნაშთები, რომელნიც აღმოიჩენებიან საქართველოს საეგზარხოსო მონასტერ-ეკკლესიათა ნანგრევებში.

შენიშვნა. მეცნიერების სასარგებლოდ სასურველია ამ ძველ ნაშთთა საცავში შემოიკრიბოს, როგორც გუჯრები, რომელნიც დაცულნი არიან საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში და საეგზარხოსოს აპარხიებში, აგრეთვე ის გუჯრებიც, რომელნიც გადაცემულ იქნენ ამ დაწესებულებათა მიერ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში.

§ 3. ზემო §-ში აღნიშნული ნაშთები უნდა შემოიკრიბოს დასაცველად ტფილისის საკათედრო სიონის ეზოში განგებ ამ საგნისათვის აგებულს შენობაში.

§ 4. სამუდამო ყურის გდება ძველის დროის ნაშთთა დასაცველად ამ ნაშთთა საცავში და აგრეთვე შენობის ჯეროვანის მდგომარეობისათვის ვალად აქვს ყოვლად წმინდა ღვთის-მშობლის ძმობის საბჭოს განსაკუთრებულს განყოფილებასა, რომელიც შესდგება ეგზარხოსის მიერ აღრჩეულის პირის თავმჯდომარეობით.

§ 5. ხსენებული განყოფილება:

ა) ჰმართავს, ეგზარხოსის ნება-რთვითა, მიწერ-მოწერასა ადგილობრივთა საეკკლესიო და სამოქალაქო გამგე პირებთანა, რომ იმათ გადმოსცენ ნაშთთა საცავში სიითურთ საეკკლესიო-საარხეოლოგიო ნივთები, რომელნიც იპოვებიან იმათ გამგეობაში.

ბ) ადგენს ამ ნაშთთათვის ოფიციალურს კატალოგს, საკუთარის ხელის მოწერითა, და ამ კატალოგში ნამდვილ აღნიშნავს საგნებსა, უჩვენებს ადგილსა და დროსა, საიდამ და როდის იქმნენ იგინი გადმოცემულნი.

გ) თუ რომელიმე მათგანი წარმოადგენს განსაკუთრებულს მნიშვნელობას მეცნიერებისათვის, შეიტანს კატალოგში იმის განმარტებულს აღწერასა.

დ) აწყობს ნივთებსა შკაფებში კატალოგის ნომრების მიხედვით, და

ე) ჰმართავს მიწერ-მოწერასა, საქართველოს ეგზარხოსის შუამავლობითა, სხვა-და-სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთანა, სადაც-კი დაცულნი არიან ოდესმე საქართველოდამ გატანილნი საეკკლესიო საარხეოლოგიო ნაშთნი და მოითხოვს მათგან აღნიშნულ ნაშთებზე ცნობებსა ანუ იმათ ფოტოგრაფიულს სურათებსა.

§ 6. ძველ ნაშთთა-საცავი დანიშნულ დროს უნდა იყოს ღია გარეშე პირთათვის, და ამათის მხრივ განხილვა და შესწავლა ნაშთთა მოხდება თანა-დასწრებით განყოფილების ერთ-ერთის წევრისა.

§ 7. საეკკლესიო - საარხეოლოგიო ნაშთები მუზეუმის გარეთ არავის გადაეცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე სამეცნიერო დაწესებულება მოითხოვს იმათ სამეცნიერო შესასწავლებლად. ამ შემთხვევაში მოთხოვნილი ნაშთი გადაეცემა ანუ გაეგზავნება მხოლოდ ოფიციალურის წერილით და დანიშნულის ვადით.

§ 8. ძველ ნაშთთა-საცავი ხმარობს საქართველოს საეგზარხო სამართლმადიდებლო ძმობის ბეჭედსა.

§ 9. თავის დროს ძმობის განყოფილება გამოცდილების ჩვენებით შეიმუშავებს, თანახმად ამ წესდებისა, ძველ ნაშთთა საცავის მოქმედების ვრცელს წესდებასა, რომელიც შედის ძალაში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებით

## უცხოეთი

საფრანგეთი. ახალი სამინისტრო შესდგა, სამინისტრო ტირარისა. მინისტრებად არიან სხვათა შორის: სპიულერი, ოპორტუნისტი, ფრეისინე, წინანდელი სამხედრო მინისტრი, რუვიე, ვალდეკ-რუსსო, კონსტანი და სხვანი. ამ სამინისტროს დიდს დღეს არ უქადიან: საზოგადო არჩევნებამდე ვერ მიაღწევსო. ეს სამინისტრო არც რადიკალებს მოსწონთ, არც ბულანჟელებს, არც მონარქიელებს; თვით ოპორტუნისტებსაც-კი იმედი არა აქვთ მისი. ეხლა ჩვენთვის ისეთი სამინისტრო იყო საჭირო, რომელიც გასძღოლოდა გამოფენის საქმესაო და ეგ სამინისტრო-კი ამ საქმეს ვერ გაუძღვებაო. გამოფენის გარდა, საჭირო იყო, რომ 1890 წლის ბიუჯეტის საქმეც მაგავე სამინისტროს დაებოლოვებინაო. ფლოკეს სამინისტრო იმიტომ დაეცა, რომ მხნედ არ შეუდგა თავისს საქმეს. ამის მაგიერ ის სულ იმას ამბობდა: შეთქმულობა ჰსუფევს ბულანჟელების მომხრეთა შორისო. მოქმედების მაგიერ ლაპარაკობდა. ლაპარაკი მწერლებისა და პუბლიცისტების საქმეა და არა მთავრობისაო. სპიულერი გარეშე საქმეთა მინისტრად დაუნიშნავთ და ეგ შეცდომაა, რადგან სპიულერი წმინდა ფრანგი არ არის. იმის ძარღვებში გერმანული სისხლი სდგასო. ერთის სიტყვით, ამ სამინისტროს შედგენით იმედები არავის გაჰმართლებია, კმაყოფილნი ხომ სულ ცოტანი არიან და ეჭვით ხომ ყველანი უცქერიან. აი რას ამბობენ სხვა-და-სხვა გაზეთები ამ სამინისტროს შესახებ:

„Siecle“: სამინისტრო გადასინჯვისა და ბულანჟეს წინააღმდეგია, მაშასადამე, წესიერების წარმომადგენელია ამიტომ ღირსია ნდობისა. მთავრობის გადა ხალისების უნარიცა აქვს.

„Temps“-ი: ეგ ისეთი კაბინეტი არ არის, რომელსაც ჩვენ ველოდით და რომელსაც ჩვენ ვურჩევდით ქვეყანასაო.

„Lanterne“: ისევ მელინის კაბინეტი გვეჩვენა ტირარისას. მართალია, მათ შორის დიდი გარჩევა არ არის, მაგრამ მელინის გარშემო შე იძლებოდა მაინც შეჯგუფულ-იყავით, თავი ერთად მოგვეყარა. მელინს ის უპირატესობა მაინცა აქვს, ტირარისაგით მასხარად აგდებული არა ყოფილა, არ დაძველებულა, არ დაცემულა, ზნეობით არ მომკვდარა ქვეყნის თვალშიო. ეგ სამინისტრო ვერც გამოფენას გაუძღვება, ვერც საზოგადო არჩევნებს. ეგ არის სამინისტრო დაცემული და მოძულებულიო.

„Radical“-ი: მაგ სამინისტროს შედგენამ ყველას დაგვიკარგა იმედი მერმისისა და შეგვიმუსრა ნატვრა და ოცნებანიო.

„Justice“-ი: ტირარმა იმითი იჩინა თავი წინად, რომ ათასი შეცდომა მოუვიდა ბულანჟეობის შესახებ. ამ შეცდომათა წყალობით გაძლიერდა ბულანჟეობაო.

„Journal des Debats“-ა: სუსტია, უძლურია ახალი სამინისტრო და ამიტომ არაფრის მოხერხება არ შეუძლიან, ხელიდამ არა გამოუვა რა.

„Figaro“: იმაზე უგუნური პოლიტიკა არა იქნება რა, როცა ძველს შეცდომას კვლავ იმეორებენო.

„Gaulois“: რას ჰნიშნავს ახალი სამინისტროვო, ჰკითხავს თავისს თავს და პასუხად ამბობს: არაფერსაო.

„Soleil“: მალე მოელება ბოლო ოპორტუნისტობასაო.

„Autorite“: ტირარი თვალთვალის ქვების ვაჭარია და არა პატიოსანის თვალმარგალიტისა. ამიტომ შეჰყარა თავისს კაბინეტში სხვა-და-სხვა ჯურის კაცნი: დამშეული ოპორტუნისტები და მოშინაურებული რადიკალები, რომელთაც ერთად უნდათ გაიწოდონ ხელი საქვეყნო ნაზუქისა და ქადისაკენ.

— თვით სამინისტრომ ასეთი დეკლარაცია გამოაცხადა: დიდის გაჭირების დროს ვიტვირთეთ სამინისტროს შედგენა, მაგრამ იმედი გვაქვს მხარს მისცემთ იმათ, ვისაც გულითა და სულით უნდათ აღასრულონ ყოველი თვისი მოვალეობა, რომელსაც-კი მოითხოვს დროთა-ვითარება. ჩვენი საქმეა ეხლა გამოფენა და ბიუჯეტი. მაგრამ უპირველესი საქმე უფრო ის არის, რომ დამშვიდდეს ქვეყანა. მფარველობას გავუწევთ ყველას, ვინც აასრულებს თავისს მოვალეობას და სასტიკად მოვეკიდებით იმათ, ვინც კანონს გადავა. მოგიწოდებთ ყველას საფრანგეთის უმაღლესის ინტერესების სახელითა, ვიმუშაოდ ერთად ქვეყნის დამშვიდებისა და წარმატებისათვისაო.

## წვრილი ამბები

პატივცემული ქალაქი სტრატფორდი, კონეკტიკუტში ძალიან აღელვებულია ვექილის გუდხარტის საჩივრის გამო. საჩივარი იმ მიწების გამო ატეხილი, რომელზედაც ეს ქალაქი და იმისი ახლომახლო სოფლებია გაშენებული. გუდხარტი ამტკიცებს, რომ ეგ ადგილები მემკვიდრეობით მე მეკუთვნისო და თუ დაამტკიცა და მოიგო საჩივარი, მთელი ქალაქი, ქალაქის მცხოვრებნი, მეურნენი ჰკარგავენ უფლებას და ახლად გამომტყვრალს ბატონს ხარჯი უნდა აძლიონ. თუ ამ კაცმა რამდენისამე წლის ქირა მოითხოვა, მაშინ მთელმა მკვიდრმა ამ ქალაქისამ კოტრად უნდა გამოაცხადოს თავი, რადგან თავისის შეძლებით ვერ აუვა და ვერ დააკმაყოფილებს ქალაქის პატრონს. ვექილს გუდხარტს საბუთის ქაღალდები აქვს თურმე და ისე აშკარად ამტკიცებს, რომ უეჭველად მოიგებს საჩივარსაო. გუდხარტის ოჯახის სხვა წევრთაც რამდენჯერმე გამოუთქვამსთ, რომ ქალაქი ჩვენ გვეკუთვნისო, მაგრამ იმათთვის ყური არავის უგდია, რადგან ღარიბნი ყოფილან და არა შესძლებიათ რა. ეხლანდელი მომჩივანი-კი ფრიად პატივცემული ვექილია თურმე ორეგონში.

— ბავარიის მეფე ოტტონ II-რეს, რომელიც დიდი ხანია ავად იყო და წარსულს თვეში გამოკეთდა, ეხლა კიდევ ახირებული სენი დაჰმართებია: თმები გასთეთრებია, ჰარაქათი გამოსცლია და ფეხები ძლივს დააქვს თურმე: სიარულის დროს ორი მოსამსახურე უნდა შეუჯდეს მხრებში და ისე ატაროს.

— ქალაქ ოსკალოზის, კანზასშია, თვით-მმართველობა ქალების ხელშია. ამ ორის წლის წინად, როცა არჩევანი იყო თვით-მმართველობისა, ერთს ხუმარას წამოუძახნია, რომ თუ გინდათ ქალაქის საქმე რიგიანად მოეწყოს, ქალები ამოირჩიეთო. ეს ხუმრობა მართლად მიუღიათ და საბჭოს წევრებად სულ ქალები ამოურჩევიათ. ამ ახლად ამორჩეულებს მხურვალედ მოუკიდნიათ ხელი საქმისთვის და ბევრი ბოროტ-მოქმედება ამოუჩენიათ და მოუსპიათ. ამას წინად კიდევ არჩევნები ყოფილა და კვლავ ქალები ამოურჩევიათ. საყურადღებო ის არის, რომ ამ არჩევანზედ ქალებს თითონვე ქალებივე ჰყოლიათ წინააღმდეგნი. ქალთა ამორჩევის წყალობით ოსკალოზი გამშვენიერებულია თურმე, კვირაძალს არა სტეხავენ, ქუჩები და გზები მშვენივრად არის მოწყობილი, სამიკიტნოები დაკეტილია და ქალაქსაც ფული ბევრი აქვს.

— პარიჟში უკვე გამოსულა პირველი ნაწილი წიგნისა «Les types de Paris». ამ წიგნის შედგენაში მონაწილეობას იღებენ ალფონს დოდე, ემილ ზოლა, ედმონ დე-გონ, კური, ანტონინ პრუსტი, ანრი გრევილი, პოლ ბურჟე და ჟან რიშპენი. წიგნში ყველა ფრანსუა რაფაელის სურათებიც იქნება ჩაყოლებული. ეს წიგნი ათ ნაწილად დაიბეჭდება და უკანასკნელი ნაწილი სწორედ მსოფლიო გამოფენის დაწყების დროს გამოვა. ამ წიგნს აზრად ისა აქვს, რომ გამოფენაზედ მისულ უცხო-ქვეყნელებს პარიჟის მკვიდრნი გააცნოს.

— ამას წინად „Continental“-ში ბალი ჰქონიათ პარიჟის მკერვალებს. ბალის კომიტეტის წევრებად სულ გამოჩენილი მკერვალები ყოფილან და მოდად შემოუღიათ ახალი საბალო ტანისამოსი კაცთათვის. ბალში მყოფთა უმეტესს ნაწილს ეცვა თურმე ეს ახალი ტანისამოსი: ყომრალი ფრაკი, თეთრის აბრეშუმის ჟილეტი, შავი წუღები მუხლებამდე და შავივე მოკლე შარვალი. ეს ახალი ტანისამოსი ისე მოსწონებია ბევრს, რომ იქვე შეუკვეთნიათ შეკერვა თავისთვისაც. ერთის სიტყვით, მკერვალებს კარგი საღამო დაჰქლამებიათ იმ დღეს და მოგებაც ცოტა არ უნახავთ.

— ვიღაც კოლსლეის, ავსტრიაში, მოუგონია ცხვრის საკრეჭავი მანქანა, რომლითაც დღეში 114-მდე ცხვარი გაიკრიჭება თურმე. საქონლის დარნინგის ერთს ეზოში ამ მანქანით სულ ერთს კვირას 98,000 ცხვარი გაუკრეჭიათ.

## დეპეშა

17 თებერვალი

პეტერბურგი. ოფიციალურად გამართლდა ხმა, რომ ქუკოვსკი დაინიშნა სახელმწიფო ბანკის მმართველადაო; იმის ამხანაგად ინიშნება დირექტორი ივაშჩენკო.

გუშინ გარდაიცვალა ოქროს მადნების მოსაკუთრე და მილიონების პატრონი ასტაშევი.

პარიჟი. გიუბარე დაეკითხა მთავრობას სალაროს ამბის გამო. სპიულერმა გამოაცხადა, რომ ეგ ამბავი სამწუხარო ამბავიაო. პალატა ერთხმად მიემხრო მთავრობას და მეგობრობით მოიხსენია რუსეთი.

პოლიციის კომისარი ოცის აგენტის თანადასწრებით შევიდა დღეს, შუადღის შემდეგ, პატრიოტების საზოგადოების ბიუროში, რომელიც იმყოფება Place de la Bourse და გაჩხრიკა იქაურობა დერულედისა და ლაგერის თვალ-წინ. დერულედმა და ლაგერმა ხელი მოაწერეს იმ მოწოდებას, რომლითაც იწვევდნენ ხალხს ხელის-მოსაწერად აშინოვის სასარგებლოდ. ამიტომ იმათ ჰბრალდებათ მტრული საქციელი, რომლის გამო შეიძლება სახელმწიფოს ომი გამოუცხადონო. დერულედმა ჩვენების ჩამორთმევის დროს უარი სთქვა, არაფრის თქმა არ მინდაო.

რომი. კრისპიმ გამოუცხადა დეპუტატთა პალატას, რომ სამინისტრომ ქაღალდი მიართვა დათხოვნისა მეფეს, რადგან ბოლოს დროს ისეთი კამათობა ასტყდა პარლამენტში, რომ კენჭის ყრა სახელმწიფო ინტერესებს ავნებდაო. მეფემ ურჩია სამინისტროს დარჩენა მიმომდინარე საქმეთა მართვისათვის. პალატის კრებანი გადადებულ იქმნა, თუმცა ვადა-კი არ დაუნიშნავთ, რა ვადამდე უნდა შესწყდეს კრებანი.

18 თებერვალი

ვენა. დიპლომატებ შორის ტირარის მოქმედება პატრიოტების საზოგადოების შესახებ კეთილ-გონიერ საქმედ არ მიაჩნიათ. ეგ იმასა ჰგავს, რომ გამოითხოვოთ საბრძოლველად თითქმის უმეტესი ნაწილი საფრანგეთის ერისაო. ჰგონებენ, რომ ახალი საფრანგეთის სამინისტრო ასეთის საქციელით ჰბადავს მღელვარებასა და ამიტომ იქნება მსოფლიო გამოფენამდე ვერც-კი იბოგინოსო. „Neue Freie Presse“ ამბობს: კრისპის გადადგომა სამსახურიდამ ამტკიცებს, რომ იტალიის ერს არ უნდა ის სამხედრო ხარჯები გასწიოს, რომელიც გამოწვეულია სამთა კავშირის გამოო. კერძო წყაროებიდამ ისმის, რომ ეს ამბავი ძალიან აწუხებთ ბერლინშიო.

პარიჟი. კონსტიტუციის გადასინჯვის კომიტეტებმა, რომელიც დაარსებულია სხვა-და-სხვა თემებში, დაჰბეჭდეს ადრესები და თანაგრძნობას უცხადებენ რუსთ-მოყვარეობით შედგენილს მანიფესტს დერულედისას და ამბობენ, რომ ჩვენც წინაალმდეგნი ვართ, პატრიოტების საზოგადოების კომიტეტისავით, ამ საზოგადოების გაუქმებისაო. „Presse“-ს გარდა, გაზ. „France“-მ ხელის-მოწერა გამოაცხადა იმ რუსთა ოჯახების სასარგებლოდ, რომელნიც ან მოკლულ და ან დაჭრილ იქმნენ საღალოში.

პარიჟი. პატრიოტების საზოგადოების სადგურს კვლავ სჩხრეკენ და, როგორც ამბობენ, საქმე იქამდე მივა, რომ გაუქმდება ეგ საზოგადოებაო.

რომი. ახალის კაბინეტის შედგენა, როგორც სჩანს, მიენდობა კრისპის. ახალს სამინისტროში განსაკუთრებით რადიკალები იქმნებიან მინისტრებად.

ბერლინი. ამ უკანასკნელს დროში გერმანულის გაზეთების ერთი ნაწილი ამბობს, რომ სასურველია რუსეთი და გერმანია დაუახლოვდნენ ერთმანეთსაო. უფრო განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „Deutsche Tagblatt“-ის წერილმა. ამ წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ შესაძლოა მორიგება არა თუ გერმანიასა და რუსეთს შორის, არამედ გერმანიასა, რუსეთსა და ავსტრიას შორისაცაო, მორიგება, ხელ-შეკრულების ძალით ჩამოვარდნილიო.

ბუქარესტი. დაჰეშმარიტებით ამბობენ, რომ მინისტრები კვლავ დარჩნენ თავისს თანამდებობაზედ და ამ გვარად დაბოლოვდა სამინისტროს კრიზისის საქმეო.

რომი. სამხედრო გაზეთები იუწყებიან, რომ იტალიის ჯარი უნდა შეამცირონ და 12 კორპუსიის მაგიერ 10 იყოლიონო.

ნიუ-იორკი. დღეს ედისონმა მუშაობის დროს მძიმედ დაიშავა ორივე თვალი.

ბერლინი. გერმანიის გაზეთებს ამ ჟამად ბაასი და ლაპარაკი აქვსთ იმ საადმინისტრაციო რეფორმების გამო, რომელიც გრაფ ტოლსტოიმ შემოიღო. განსაკუთრებით ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აქაური „Beichs Correspondence“, რომელიც ამტკიცებს: რიგგაში გამგეობის წესისა და რიგის შეცვლა უსათუოდ საჭირო იყოვო. „Norddeutsche Allgemeine Zeituug“-ი დღევანდელს მეთაურში თანაგრძნობით იხსენიებს რეფორმას და მოჰყავს აგრეთვე მიუნხენის „Allgemeine Zeitung“-ის აზრი, რომ რეფორმა ნიადაგს აუმჯობესებს უფრო წესიერ, საუკეთესო და მკვიდრ საადმინისტრაციო დაწესებულებათათვისო.

პეტერბურგი. „Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ იმ უბედურების გამო, რომელიც შეემთხვა სამეფო მატარებელს, სამართალში იქმნებიან მიცემულნი გზათა მინისტრად ნამყოფი პოსიეტი, ბარონი შერნვალი, ბარონი ტაუბე და სხვანიო.

პარიჟი. ბულანჟელმა ლაგერმა გუშინ პალატაში ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ რათა სდევნის მთავრობა პატრიოტთა საზოგადოებასაო. მინისტრ-პრეზიდენტმა ტირარმა მიუგო: შევიძლებ და ისე მოვაგვარებ, რომ კანონს ყველანი პატივსა სცემდნენო. პალატამ 348 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 220 მთავრობას ნდობა გამოუცხადა. გუშინ-კი შინაგან საქმეთა მინისტრმა პრეფექტებს უბძანა, რომ პატრიოტთა საზოგადოებას კრებანი ალუკრძალეთ და, თუ საჭირო იქნება, ამ კრებათა დასაშლელად ძალაც იხმარეთო.

პორტ საიდი. რუსეთის კორვეტი «Забьяка» გავიდა სუეცის არხში და სუეცში მიდის წამოსაყვანად აშინოვისა და იმის ამხანაგთა, რომელნიც ობოკიდგან იქმნენ მოყვანილნი სუეცს საფრანგეთის კორვეტებ „Seignelay“-თა და „Primnugnet“-ით.

პეტერბურგის ბირჟა, 17 თებერ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებანი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 39 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 252¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97³/₄ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97³/₄ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83 | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადები—6.

თებერვალი 28 დღით არის.

21 დღე სამშაბათი. ღირსისა მამისა და საკვირველ-მომქმედისა ტიმოთესი და წმ. შორის მამისა ესტატე ანტიოქელისა. კათოლ. ქალწ. ელეონორასი. მაჰმად. მე-3 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—28, ჩადის 5—55. მთვარე 4 დღისაა.

# განცხადებანი

ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-რთვით

ისყიდება

## ბამბა „ბავანნა“

თამბაქოს მხმარებელთათვის.

ეს ბამბა, პაპიროსში ჩადებული, ჰსპობს ნიკოტინსა და სხვა მავნე ნივთიერებას, ამით იცავს თამბაქოს მხმარებელის ჯანის სიმრთელეს და აგრეთვე თამბაქოს გემოს უკეთებს და უუმჯობესებს.

ყუთი ჰღირს 10 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო თამბაქოს მაღაზიებში. უმთავრესი საწყობი ნარ-დად საყიდავად იმყოფება ალექსანდრე ვენცელთან, ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩაზედ, 3; მოსკოვს, მოსკოვის ვიწრო ქუჩაზედ, სოლენიკოვების სახლში.

ბ-ნთ სხვა ქვეყნელთ 3 მანათად გაეგზავნებათ 25 ყუთი. ვაჭრებს შეღავათიანად და ნაკლებ ფასად დაეთმობათ.

სიყალბის ასაცილებლად ვსთხოვთ მხმარებელთ ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება ბამბის გამომგონ ნ. როზენბლატის გვარს, იმისივე მოწერილს, და ასოებს „A. W.“ ყოველ ყუთზედ.

(3—3) ალექსანდრე ვენცელი.

ისყიდება

თესლეულობა

## ე. იმმერისა

და იმისის

## შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩაზედ, ობოდინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოჰგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—14)

ქ. ოზურგეთში

თებერვლის ოციდგან გაიმართა

## წიგნის მაღაზია,

სადაც ისყიდება ყველა ქართული წიგნი, რუსულიც (სახელმძღვანელო წიგნები) და სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები. წიგნები ისყიდება იმ ფასად, რა ფასიც ზედ აწერია. მაღაზიაში აგრეთვე არის წიგნთ-საკითხავი.

3—1

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

## „ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი-მალც-ექსტრაქტი და კონფეტები

ლ. ჰ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი:

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჰნიშნა ბავშთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგოსოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაციება.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშონდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და საათფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: საათფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(17—10)

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მიწაზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოვთან ოდესას.

Schutzmarke.

ADALBERT VOGT & Co.

BERLIN

FRIEDRICHSBERG.

Goldene u. silberne Medaillen

ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—11)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარიწე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების

## ტფილისის ბაღოსნობის სასწავლებელში

იყიდება სხვა-და სხვა ხილისა, ოთახის მოსაწყობელი და ყვავილის მცენარენი. ეს მცენარენი დარგულია ერთის წლიდგან ორ წლამდე.

(10—5)

რუსეთში შემო... და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




## არყის ხის ბალზამი დ—რის

## ლენგილისა,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და საათფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—7)

Доз. ценз. Тифлисъ 20-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე